პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

სამშაბათი, 13 თებერვალი, 1951 წ. № 36 (8890). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

უფრო ავამაღლოთ ლექციური პროპაგანდის დონე—„პრავდის" 12/II მოწინავე (1-ლი გვერდი).
ქართველი ხალხის ერთიანობის მძლავრი დემონსტრაცია (1-ლი და მე-2 გვერდი).
უსაზღვრო სიხარულისა და მადლობის სიტყვები (1-ლი და მე-2 გვერდი).
კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატები (მე-3 გვერდი).
ინდუსტრიული ქალაქი ტყვარჩელი არჩევნებისათვის ემზადება (მე-3 გვერდი).
8 ათასი სიკვდილმისჯილი ბერძენი პატრიოტი დედების დელეგაციის მიმართვა ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (მე-3 გვერდი).
კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარისა და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის ალმასკომის საბოლოო სხდომა (მე-4 გვერდი).

უფრო ავამაღლოთ ლექციური პროპაგანდის იდეური დონე

კომუნისტური მშენებლობის ამოცანები დაბეჯითებით მოითხოვენ პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის შემდგომ აღმავლობას, ჩვენი კადრების, პარტიული და უპარტიო ბოლშევიკების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საქმის გაუმჯობესებას.

ამხანაგმა სტალინმა მოხსენებაში პარტიის XVIII ყრილობაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიული პროპაგანდა და აგიტაცია ზეპირი და ბეჭდვითი, მუშაობა პარტიის წევრებისა და პარტიის კადრების მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის, მუშაობა პარტიისა და მისი მუშაკების პოლიტიკური და თეორიული დონის ამაღლებისათვის პარტიული მუშაობის მეტად მნიშვნელოვანი და მეტად პასუხსაგები დარგია.

„პარტიული პროპაგანდის ამოცანა, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — კადრების მარქსისტულ-ლენინურად აღზრდის ამოცანა ის არის, რომ დავეხმაროთ მუშაობის ყველა დარგის ჩვენს კადრებს დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ".

ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, ამ ამოცანებს რომ ახორციელებენ, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის სხვადასხვა საშუალებებსა და მეთოდებს იყენებენ. მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის დიდმნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენენ ლექციები. პროპაგან-...

...ისტორიის საკითხებზე და განსაკუთრებით ნაკლებად კითხულობენ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე, მაშინ როცა პარტიული, სამეურნეო კადრებისა და ინტელიგენციის მხრივ ამ საგნების შესწავლის მოთხოვნილება განუწყვეტლივ იზრდება.

ლექციური პროპაგანდის სერიოზული ნაკლოვანებანი უწინარეს ყოვლისა პარტიის ზოგიერთი რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფების სუსტი მუშაობით აიხსნება. პარტიული ორგანოების ლექტორთა ჯგუფების ძირითადი ამოცანაა განუწყვეტლივ ეწეოდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდას, აკმაყოფილებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელთა მოთხოვნილებას. მაგრამ ლექტორთა ჯგუფები ხშირად ქსაქსავენ თავიანთ ძალებს, კითხულობენ ლექციებს სულ სხვადასხვა საკითხებზე და ისეთ საკითხებზეც, რომლებსაც პარტიულ პროპაგანდასთან პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვთ.

პარტიის საქალაქო და საოლქო კომიტეტების ლექტორთა ბევრი ჯგუფი მცირერიცხოვანია, თუმცა თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას შესაძლებლობა აქვს შეავსოს ეს ჯგუფები თეორიულად მომზადებული პროპაგანდისტებით. ომისშემდგომ წლებში ჩვენმა პარტიამ დიდი მუშაობა გასწია და ეწევა პარტიული კადრების მოსამზადებლად და გადასამზადებლად. ...

„პრავდის" 12/II მოწინავე

ქალაქ თბილისის მოლოტოვის საარჩევნო ოლქი

ქართველი ხალხის ერთიანობის მძლავრი დემონსტრაცია

გუშინ, 12 თებერვალს, საღამოს, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის მოლოტოვის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრება.

თეატრის დარბაზი საზეიმოდაა მორთული. წითელი ატლასის ფონზე ...

...ნებლობისათვის დაუღალავი შრომის საუკეთესო ნიმუში.

გაუმარჯოს ჩვენი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს!

იცოცხლოს და იდღეგრძელოს მოელი პროგრესული კაცობრიობის საბედნიეროდ ჩვენმა მშობლიურმა ...

ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქი

უსაზღვრო სიხარულისა და მადლობის სიტყვები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები დიდი სიხარულით მოელიან 18 თებერვალს. ამ დღეს ისინი ხმას მისცემენ ლენინის მოწაფეს, დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს, გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

...ხმას იმას, ვის სახელთანაც ასე მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის აყვავება; ხმას მისცემენ მგზნებარე სტალინელს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას. (მქუხარე ტაში).

წინასაარჩევნო კრება ხანგრძლივი ტაშის გრიალით საპატიო პრეზიდიუმში ...

(დასასრული მეორე გვერდზე)

(დასასრული მეორე გვერდზე)

ციმლიანსკაიას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე

ქალაქ თბილისის მოლოტოვის საარჩევნო ოლქი

ქართველი ხალხის ერთიანობის მძლავრი დემონსტრაცია

(დასასრული)

მუდამ მტკიცედ იცავდა ლენინისა და სტალინის დიად მოძღვრებას, ღირსეულად ასრულებდა მათ მითითებებს და თავდადებით იბრძოდა ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის რიგების განმტკიცებისათვის. ამხანაგი მოლოტოვი მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა ჩვენი სამშობლოს სტალინურ საგარეო პოლიტიკას. დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში იგი მთელ თავის ენერგიას ახმარდა მტერზე გამარჯვების დიად საქმეს, ხოლო ამჟამად მთელ თავის ცოდნას, გამოცდილებასა და ენერგიას ახმარს კომუნიზმის მშენებლობის სტალინურ მიზანდასახულობათა განხორციელებას.

ამიტომ უყვარს ჩვენს ხალხს ამხანაგი მოლოტოვი, ამიტომ ასახელებს მას თავის დეპუტატობის კანდიდატად.

ამხანაგებო! ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება 18 თებერვალს ხმა მივცეთ დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ამხანაგ მოლოტოვს. ნება მიბოძეთ გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ ჩვენი ოლქის ამომრჩევლები ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების სახელოვან კანდიდატს — ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს. ამით ჩვენ ხმას მივცემთ მშობლიურ ბოლშევიკურ პარტიას, ერთხელ კიდევ დავადასტურებთ ჩვენს უსაზღვრო ერთგულებას ჩვენი ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი! (**ხანგრძლივი ტაში**).

ტრიბუნაზეა პროფესორი **ა. ზურაბაშვილი**.

თავის გამოსვლაში იგი უდიდესი სიამაყის გრძნობით ლაპარაკობს საბჭოთა ხალხის დიად მიღწევებზე, თავისუფალ, ბედნიერ და შეძლებულ ცხოვრებაზე, რაც მოპოვებულ იქნა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიადი სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ.

— სტალინური კონსტიტუცია,— აღნიშნავს ორატორი, — სახელოვანი საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებების მოპოვების დოკუმენტია.

მოგიწოდებთ 18 თებერვალს ერთსულოვნად მისცეთ ხმა ამ კონსტიტუციის შემოქმედის — დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს.

გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურ ბლოკს მომავალ არჩევნებში!

დიდება დიდ სტალინს! (**მქუხარე ტაში**).

ლენინ-სტალინის პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო მადლობის სულისკვეთებით აღსავსე სიტყვა წარმოთქვა კარტოგრაფიული ფაბრიკის სტახანოველმა ამხ. **ნ. სერბინმა**. მან დაახასიათა ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის, როგორც ლენინ-სტალინის ტიპის მოღვაწის, საბჭოთა ხალხის დიდი მომავლის ცხოვრება.

— ჩვენთვის, — ამბობს იგი, — ამხანაგ მოლოტოვის მთელი მოღვაწეობა წარმოადგენს იმის საუკეთესო მაგალითს, თუ როგორი შეუპოვრობითა და თავდადებით უნდა იბრძოლოს საბჭოთა პატრიოტმა თავისი სამშობლოს კეთილდღეობისათვის. 18 თებერვალს, ჩავუშვებ რა ბიულეტენს ყუთში, ამით დავამტკიცებ ჩემს ერთგულებას და უსაზღვრო სიყვარულს დიდი სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლის ამხანაგ მოლოტოვისადმი. (**ტაში**).

შეუნელებელი ყურადღებით მოისმინეს წინასაარჩევნო კრების მონაწილეებმა შემდგომ გამოსული ორატორების — ქალთა 25-ე საშუალო სკოლის მოსწავლის, ახალგაზრდა ამომრჩევლის **ნ. ზარანიანის**, მოხუცი დიასახლისის **ა. მაჩაბლის** და გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობის **ი. როზოვსკის** პატრიოტული სიტყვები.

კრების დამსწრეთა საერთო განწყობილება გამოხატა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა პედაგოგმა **თ. მათიაშვილმა**, რომელმაც თავისი მგზნებარე სიტყვის დასასრულს განაცხადა:

— არჩევნების დღეს — 18 თებერვალს მოლოტოვის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები ერთსულოვნად მივალთ საარჩევნო ყუთებთან და ხმას მივცემთ დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს, დეპუტატობის ჩვენს სახელოვან კანდიდატს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს. ჩვენი საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს ღრმადა აქვთ შეგნებული, რომ ამით ისინი ხმას მისცემენ ჩვენი ქვეყნის შემდგომი სამეურნეო და კულტურული წინსვლის საქმეს, საბჭოთა ადამიანების შეძლებული და თავისუფალი ცხოვრების განმტკიცებას.

სიტყვა ეძლევა პოეტ **ი. ნონეშვილს**.

იგი აღნიშნავს, რომ ამხანაგ მოლოტოვის მთელ ცხოვრებაში ხორცშესხმულია დიდი რუსი ხალხის კეთილშობილური თვისებები, იგი ქართველი ხალხის საუკეთესო მეგობარი და მოამაგეა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ შავბნელი მონარქიის დროს ამხანაგმა მოლოტოვმა ხმა აღიმაღლა თბილისში უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. 1912 წელს ლენინურ-სტალინური „პრავდის" 26 მაისის ნომერში ამხანაგმა მოლოტოვმა მოათავსა წერილი თბილისში უნივერსიტეტის დაარსების საჭიროების შესახებ.

მოგიწოდებთ ყველას, — ამბობს ი. ნონეშვილი, — 18 თებერვალს მივიდეთ საარჩევნო ყუთებთან და ხმა მივცეთ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს:

ამით ხმას მივცემთ სამშობლოს
ახალ წინსვლას და მშვენებას,
ამით ხმას მივცემთ სამგორში
ედემის აღმოცენებას,
ამით ხმას მივცემთ ჩვენი მტრის
მოსპობას, გადაშენებას;

ამით ხმას მივცემთ, რომ კაცმა
დაიმორჩილოს ბუნება,
ამით ხმას მივცემთ ახალი
ქარხნების აგუგუნებას;

ამით ხმას მივცემთ, ვინც მოგვცა
თავისუფლების ქარტია —
დიდ სტალინს, რომლის სიმტკიცე
გარს ფოლადივით გვარტყია.

სტალინი სიჭაბუკეა,
სამშობლოს დილა ნათელი,
მის სახელს, მის მზეს, მის აკვანს
იფიცებს ყველა ქართველი.

და განა მარტო ქართველი
ან რუსი სახელგანთქმული?
მის სიყვარულში მსოფლიოს
სიყვარულია ჩართული.

როცა მზისაკენ მივილტვით,
აფრა ცის ტატნობს ეხება
და ამ ქროლვაში უეცრად
გზაზე სიძნელეც შეგვხვდება,

გაგვახსენდება ტაიგა
და ტურუხანსკის ქარბუქი,
გაგვახსენდება ქარიშხალს
როგორ ებრძოდა ჭაბუკი;

გაგვახსენდება, და გული
უფრო ძლიერად ითნება,
გაგვახსენდება, და ყველა
სიძნელე გვიადვილდება.

ის განახლების ჰიმნია
გულიდან გულზე მოვლილი,
მამაა ჩვენზე — შვილებზე
ფიქრით თმაჩამოთოვლილი.

დე, ჩვენი ხმა და გუგუნი
კრემლის ვრცელ თაღებს
გადასწვდეს,
დე, ფრთა გაშლილმა ტაშებმა
ჩვენი სურვილი გადასცეს:

იცოცხლოს — ვიდრე მიწაზე
დაჰქრის ნიავი ფრთამალი,
ვიდრე ზღვას ღელვა უხდება,
ცას — ცისარტყელის ქამარი,

სტალინმა, დიდმა სტალინმა,
მშვიდობის სიტყვამ მართალმა,
ხალხის პირველმა რჩეულმა,
გამარჯვებათა სარდალმა!

(**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა**).

ტრიბუნაზეა პარტიის მოლოტოვის რაიკომის მდივანი ამხ. **გ. ლუარსაბოვი**.

მეოცე საუკუნე, — ამბობს იგი, — ლენინისა და სტალინის საუკუნეა, სოციალიზმისა და დემოკრატიის გამარჯვების ეპოქაა. — რეაქციის შავ ძალებს არ შეუძლიათ შეაჩერონ თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ლტოლვა მშვიდობისა და ბედნიერებისაკენ, შეაფერხონ ძლევამოსილი წინსვლა კომუნიზმისაკენ.

ყველა გზას ჩვენ კომუნიზმისაკენ მივყავართ! (**ტაში**).

მოლოტოვის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს წილად ხვდათ დიდი ბედნიერება: ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილმა მოღვაწემ, დიდი რუსი ხალხის სახელოვანმა შვილმა და ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის უახლოესმა თანამებრძოლმა ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვმა თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ჩვენს საარჩევნო ოლქში.

მოლოტოვის რაიონის პარტიული ორგანიზაციის სახელით მოვუწოდებ ყველა ამომრჩეველს 18 თებერვალს ერთსულოვნად მივიდნენ საარჩევნო ყუთებთან და ხმა მისცენ ჩვენს ღირსეულ კანდიდატს ამხანაგ მოლოტოვს.

ამხანაგ მოლოტოვისათვის ხმის მიცემით ჩვენ ხმას მივცემთ ბოლშევიკების პარტიას, საბჭოთა მთავრობას, ჩვენი საყვარელი სამშობლოს ბრწყინვალე მომავალს, ჩვენი ხალხის ბედნიერი ცხოვრების განმტკიცებას.

გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევ სტალინურ ბლოკს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში!

გაუმარჯოს დიდი რუსი ხალხის სახელოვან შვილს ამხანაგ მოლოტოვს! (**ტაში**).

დიდება კომუნიზმის დიდ ხუროთმოძღვარს ამხანაგ სტალინს! (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში და ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან**).

* * *

ამომრჩეველთა წინასაარჩევნო საოლქო კრებამ ერთხმად და დიდი აღფრთოვანებით მიიღო რეზოლუცია.

ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქი

უსაზღვრო სიხარულისა და მადლობის სიტყვები

(დასასრული)

სახელთან. მისი ხელმძღვანელობით ჩვენი რესპუბლიკა ერთ-ერთი მოწინავე გახდა ძმურ რესპუბლიკებს შორის. ამხანაგი ლავრენტი ბერია მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკების დიდი მეგობარია. განუზომელია მისი ღვაწლი საბჭოთა ინტელიგენციის კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმეში. მოვუწოდებ სტალინის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს 18 თებერვალს ერთსულოვნად მისცენ ხმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის სახელოვან კანდიდატს, საქართველოს ამყვავებელს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას. (**მქუხარე ტაში**).

რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **გ. სალარაძემ** ილაპარაკა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა წინაშე ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას უდიდეს დამსახურებაზე და მოუწოდა ამომრჩევლებს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეულ კანდიდატს ამხანაგ ლ. პ. ბერიას.

— დიდია ლავრენტი ბერიას დამსახურება საბჭოთა ხალხის წინაშე, — თქვა ამხანაგმა გ. სალარაძემ. — განუზომელია ხალხის სიყვარული მტკიცე სტალინელის ამხანაგ ბერიას მიმართ. მადლიერი ხალხი ასე მიმართავს საყვარელ შვილს:

„შენგან აყვავდა, დაპურდა
ქალარა ქართლის მთა-ველი,
ვაზს ჩაუდგი მტევანი,
ყანას ხელ-ხვავი, თაველი...
მშობელი მიწის ყოველ გოჯს
ატყვია შენი მკვლელი".

(**მქუხარე ტაში**).

თამბაქოს პირველი ფაბრიკის სტახანოველმა **ვ. ფისუნოვამ** წინასაარჩევნო კრებას გააცნო ის საწარმოო აღმავლობა, რომელიც სტალინის რაიონის საწარმოებში და კერძოდ თამბაქოს პირველ ფაბრიკაში გამოიწვია ამხანაგ ლ. პ. ბერიას თანხმობამ კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში.

— იმის პასუხად, — თქვა მან, — რომ ამხანაგმა ბერიამ თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში, თამბაქოს პირველი ფაბრიკის მუშებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა უფრო ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ამხ. ვ. ფისუნოვა მოუწოდებს ყველა ამომრჩეველს 18 თებერვალს ერთსულოვნად მისცენ ხმა მგზნებარე სტალინელს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

— ამხანაგ ლ. პ. ბერიასათვის ხმის მიცემით, — ამბობს იგი, — ჩვენ ხმას მივცემთ ხალხთა ბედნიერ მომავალს, კომუნიზმის დიად მშენებლობას.

დიდება და დღეგრძელობა ჩვენს საყვარელ ლავრენტი ბერიას! (**მქუხარე ტაში**).

დიასახლისმა **ნ. ბაქრაძემ** ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა აღფრთოვანებით მოელიან თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები 18 თებერვალს.

— ჩვენ, სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველი-დიასახლისები, — აღნიშნა მან, — განვიცდით დიდ აღფრთოვანებას, რადგან 18 თებერვალს ხმა უნდა მივცეთ საყვარელ ადამიანს, ვინც ასე დაამშვენა საქართველო, ვინც ასე ააყვავა ჩვენი თბილისი.

დიასახლისებმა კარგად ვიცით, რა ძვირფასი და მახლობელია ამხანაგ ბერიას სახელი ყველა მშრომელისათვის. კარგად ვიცით, რომ საბჭოთა საქართველოს უმაგალითო აღორძინება მჭიდროდ დაკავშირებულია ამხანაგ ლავრენტი ბერიას სახელთან. ამიტომ სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები უდიდესი აღტაცებით შევეგებეთ ამხანაგ ბერიას თანხმობას, მის დიდ ნდობას. დიასახლისი ამომრჩევლები ამხანაგ ბერიას ნდობას იმით ვუპასუხებთ, რომ აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ კომუნიზმის დიად მშენებლობაში, სამშობლოს აღვუზრდით ღირსეულ შვილებს.

გაუმარჯოს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!

დიდება და დღეგრძელობა დიდ სტალინს! (**მქუხარე ტაში**).

ქართული საბჭოთა მეცნიერების განვითარების საქმეში ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას უდიდეს დამსახურებაზე თათბირს მოუთხრო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა **კ. ზავრიევმა**.

— ამხანაგ ლავრენტი ბერიას, — თქვა მან, — განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს მაღალკვალიფიციური ტექნიკური ინტელიგენციის აღზრდისა და ტექნიკური მეცნიერების განვითარების საქმეში.

ახალგაზრდა ამომრჩეველთა სახელით სიტყვა წარმოთქვა თბილისის ქალთა მე-13 საშუალო სკოლის მოსწავლემ ამხ. **შ. ბეგოიძემ**.

ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად მოსწავლე ახალგაზრდობაც, — თქვა მან, — უდიდესი აღფრთოვანებითა და სიხარულით ეგებება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. მე პირველად ვღებულობ არჩევნებში მონაწილეობას. უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ ჩემს პირველ ხმას მივცემ ქართველი ხალხის საყვარელ შვილს ძვირფას ლავრენტი ბერიას, რომელსაც პოეტი ასე უმღერის:

„შენ ააყვავე მშობელი მიწა,
მხარე აავსე შრომის ბარაქით,
შენი გმირობით წალკოტად იქცა
განახლებული დედაქალაქი".

(**ტაში**).

ხმას მივცემთ რა ამხანაგ ბერიას, ამით ხმას მივცემთ ჩვენი ახალგაზრდობის ბედნიერ აწმყოსა და მომავალს, კომუნიზმის გამარჯვებას. (**მქუხარე ტაში**).

პატრიოტული სიტყვა წარმოთქვა პოეტმა **გრიგოლ აბაშიძემ**.

— ახალი საქართველოს მთელი სახელოვანი ისტორია,— თქვა მან,— მისი ყველა მიღწევა, ქართველი ხალხის ნიჭისა და ენერგიის ყველა სასახელო გამოვლინება უშუალოდ დაკავშირებულია დიდი სტალინის სახელთან.

18 თებერვალს ქართველი ხალხი დიდი სტალინის ერთხმად არჩევით ერთხელ კიდევ დაადასტურებს თავის მადლიერებას ხალხთა დიდი ბელადისადმი, თავის ერთგულებას ყველა იმ მონაპოვრისადმი, რაც დიდი სტალინის მუდმივი ზრუნვითა და ხელმძღვანელობით იქნა მიღწეული.

ქართველ ხალხს წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა და სტალინურად ზრდიდა დიდი ბელადის უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

დიდია ამხანაგ ბერიას ღვაწლი ქართველი ხალხის წინაშე. მისი ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა საქართველოს ბუნების გარდაქმნისა და აყვავების, ქართული კულტურის ზრდისა და გაფურჩქვნისაკენ მიმართული უდიდესი ღონისძიებანი.

განსაკუთრებით დიდად არიან დავალებული ამხანაგ ბერიასაგან ქართველი ხელოვანნი და მწერლები, რომლებმაც მისი ყურადღებისა და წახალისების შედეგად არაერთი მაღალმხატვრული ნაწარმოები შექმნეს.

თავისი არსებობის სახელოვან ოცდაათი წლისთავზე ქართველი ხალხი სიხარულით ირჩევს საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად თავის დიდ მოამაგეს, მშობელი ქვეყნის კეთილდღეობისათვის განუწყვეტლად მზრუნველს, დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს ამხანაგ ლავრენტი ბერიას.

არა, ქვეყნად არ არსებობს
მზეც სტალინის შესადარი,
ჩვენი ფიქრიც, ჩვენი გულიც
დიდ სტალინთან ერთად არი.
ჩვენ ბერია დიდ ბელადთან
განუყრელად გვეგულება,
მან გაგვზარდა, მან გვასწავლა
ჩვენ სტალინის ერთგულება.
ჩვენს შეძახილს: „სტალინის გზით
კვლავაც სულ წინ გავეიძეხო!"
ხმას უერთებს ბალადქცეულ
ქართლის მთის და ბარის ეხო.
ჰკითხეთ ქართველს, ვენახს
სხლავს თუ
ანთებს დამდნარ მადნით ქურებს,
ბერიასთვის ხმას კი არა,
თავს რომელი დაიშურებს!
ჰკითხეთ თბილისს, მისგან ნაშენს,
საქართველოს ქალაქს ყველას,
ყველას ფიქრი მას ეკუთვნის,
ვინც სამშობლო ასახელა.
მას, ვინც შუქით ააყვავა
ჩვენი ქვეყნის ცა კამკამა,
ჩვენს ბერიას, ჩვენს დიდებას
ჩვენი ხმა და ჩვენი ვაშა!

(**მქუხარე ტაში**).

— ჩვენი რაიონის მშრომელები, — თქვა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის მდივანმა ამხ. **გ. ცქიტიშვილმა**, — საქართველოს ყველა მშრომელთან ერთად დიდი სიხარულით ემზადებიან უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. საწარმო-დაწესებულებებში ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება არჩევნების აღსანიშნავად. რაც უფრო ახლოვდება არჩევნების დღე, მით უფრო იზრდება ამომრჩეველთა შრომითი აღმავლობა.

ორდენოსანი საქართველოს მშრომელები, რომლებიც ამხანაგ ლავრენტი ბერიას მიერ აღზრდილნი არიან დიად სტალინურ ტრადიციებზე, უდიდესი ენთუზიაზმითა და კანონიერი სიამაყის გრძნობით აჯამებენ ომისშემდგომ ხუთწლედში მიღწეულ წარმატებათა შედეგებს, რაც მათ მოიპოვეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, პირადად ამხანაგ კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანის ხელმძღვანელობით.

ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს წილად ხვდათ დიდი ბედნიერება — ხმა მისცენ ლენინის მოწაფეს, სტალინის თანამებრძოლს ამხანაგ ლავრენტი ბერიას.

ამხანაგო ამომრჩევლებო! მოგიწოდებთ არჩევნების დღეს ყველანი უკლებლივ გამოვცხადდეთ საარჩევნო ყუთთან და ერთსულოვნად მივცეთ ხმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, ლენინ-სტალინის ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

გაუმარჯოს დეპუტატობის ჩვენს სახელოვან კანდიდატს — ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!

დიდება ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს დიდ სტალინს! (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

* * *

დასასრულ ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრება ერთხმად იღებს რეზოლუციას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად

პატრიოტული თაოსნობის ნაყოფი

თბილისის თამბაქოს პირველი ფაბრიკის კოლექტივმა შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა.

არჩევნების აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრებისას აღმოჩნდა, რომ არსებული დანადგარებით მათ გაუძნელდებოდათ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა განაღდება, თუ არ გაამრავლებდნენ მრავალდაზგოსანთა რიცხვს. ამასთან მხედველობაში მიიღეს ისიც, რომ წელს კოლექტივს 30 პროცენტით გაუდიდეს საწარმოო გეგმა. საჭირო გახდა მანამდე მივიწყებული პაპიროსის დასამზადებელი ძველი დაზგების გამოძებნა და გამართვა, დამატებით ახალი დაზგების დადგმა. განსაკუთრებით გაძნელდა კადრების, ამ დაზგებზე დახელოვნებული მუშების შეგროვება.

პაპიროსის დასატენი საამქროს პირველი ცვლის კომუნისტებს კადრის მუშა, სტახანოველი ვერა ამიროვა ხელმძღვანელობს. სტახანოველ ნინო შენგელიას, თინა ტანიაშვილის, ანა ავეტისიანის მუშაობამ და საკუთარმა გამოცდილებამ იგი დაარწმუნა, რომ დახელოვნებულ მუშებს თავისუფლად შეუძლიათ ორის ნაცვლად პაპიროსის დასატენ სამ დაზგას გაუწიონ მომსახურება.

ამ თაოსნობას ბევრი მომხრე გამოუჩნდა და მოწინავე მუშებმა მასობრივად დაიწყეს სამ დაზგაზე მუშაობა. თვით ვერა ამიროვა სამ დაზგაზე დავალებას 110 პროცენტით ასრულებს, ნინო შენგელია — 103 პროცენტით, ა. ავეტისოვა და თ. ტანიაშვილი — 102 პროცენტით. სიგარეტების დასატენ დაზგას ჩვეულებრივად ორი მუშა უწევს მომსახურებას. სტახანოველმა ანა ჯანგველაძემ იკისრა მარტო მოემსახუროს ასეთ დაზგას და კარგი შედეგიც მოიპოვა — იანვრის დავალება 125 პროცენტით შეასრულა. მარტო პაპიროსის დასატენ საამქროში დღემდე 16 მუშამ დაიწყო სამ დაზგაზე მუშაობა.

არჩევნებთან დაკავშირებით ნაკისრ ვალდებულებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. იანვარში ფაბრიკის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით გამოუშვა 11 მილიონ 400 ათასი ცალი პაპიროსი და სიგარეტი.

გურჯაანელ მევაგონეთა ნარმატება

გურჯაანი. (საკ. კორ.). ვაგონების ტექნიკური გასინჯვისა და შეკეთების გურჯაანის პუნქტის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად იკისრა 50 ვაგონის ნაცვლად 100 ვაგონის შეკეთება. ეს ვალდებულება პუნქტის კოლექტივმა იანვარში ორმაგად გაანაღდა.

საუკეთესოდ მუშაობენ და მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშებს იძლევიან იოსებ თხინვალელი, ვარლამ აგლაძე, ალექსი მელექსიშვილი და ბიძინა ყანდაშვილი, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს 250 პროცენტით ასრულებენ.

გურჯაანელი მევაგონეები იბრძვიან იმისათვის, რომ არჩევნების დღეს საარჩევნო ყუთებთან საამაყო საწარმოო მაჩვენებლებით მივიდნენ.

მეთევზეთა ახალი ნარმატება

ბათუმი. (საკ. კორ.). წარმატებით დაამთავრეს გასული სამეურნეო წელი ბათუმელმა მეთევზეებმა. მათ გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარეს ათასობით ცენტნერი თევზი.

მეთევზეთა კოლმეურნეობა „წითელი მეთევზის" წევრები ჩაებნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში და იკისრეს მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდნენ არჩევნების დღეს. ამ ვალდებულების შესასრულებლად მეთევზეებმა დაუღალავი შრომით ახალი გამარჯვება მოიპოვეს. 31 იანვრისათვის შეასრულეს თევზჭერის პირველი კვარტალის გეგმა და სახელმწიფოს 4.000 ცენტნერი მაღალხარისხოვანი თევზი ჩააბარეს.

თევზჭერაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ამხ. გ. კაპიტჩენკოს ბრიგადის წევრებმა. მარტო ამ ბრიგადამ 1.400 ცენტნერი თევზი დაიჭირა. სტახანოვურად შრომობენ აგრეთვე მოწინავე მეთევზეები ა. ნაკაშიძე, ო. დოლიძე, ე. მეგრელიძე და სხვები, რომლებიც თევზჭერის დღიურ დავალებას 150 და მეტი პროცენტით ანაღდებენ.

ამჟამად ბათუმელი მეთევზეები გაცხოველებით ემზადებიან თევზჭერის საგაზაფხულო და საზაფხულო სეზონისათვის. გადაწყვიტეს უფრო გააძლიერონ თევზჭერა, მაღალი საწარმოო გამარჯვებით შეხვდნენ არჩევნების დღეს, ხოლო საბჭოთა საქართველოს 30 წლისთავისათვის შეასრულონ ნახევარი წლის გეგმა.

ზემო სვანეთის რაიონის გამარჯვება ხე-ტყის დამზადებაში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა 1950-1951 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონში ხე-ტყის დამზადების 1950 წლის მეოთხე კვარტალის შედეგები და აღნიშნა, რომ მეოთხე კვარტალში სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს დავალებები სამასალე მერქნისა და შეშის დამზადების, აგრეთვე გამოსაზიდავად გამზადებისა და გამოზიდვის შესახებ საუკეთესო მაჩვენებლებით გაანაღდა მშრომელთა დეპუტატების ზემო სვანეთის რაიონული საბჭოს აღმასკომმა. ხე-ტყის დამზადების კვარტალური დავალება რაიონმა შეასრულა 133,7 პროცენტით, გამოსაზიდად გამზადების გეგმა — 131,2 პროცენტით და გამოზიდვისა — 158 პროცენტით.

ასეთი მაჩვენებლებისათვის მინისტრთა საბჭომ ზემო სვანეთის რაიონული საბჭოს აღმასკომს მიაკუთვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და 10.000 მანეთი ფულადი პრემია იმ სასოფლო საბჭოების, კოლმეურნეობებისა და აღმასკომების მუშაკთა დასაჯილდოებლად, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ხე-ტყის დამზადების გეგმის შესრულებაში. გარდამავალი დროშა, რომელიც ზემო სვანეთის რაიონს მიეკუთვნა, წინათ თიანეთის რაიონს ჰქონდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამასთან აღნიშნა, რომ ხე-ტყის დამზადების გეგმები 1950 წლის მეოთხე კვარტალში წარმატებით გაანაღდეს: აბაშის რაიონმა — 133,5 პროცენტით, ლაგოდეხის რაიონმა — 125,6 პროცენტით, ამბროლაურის — 125 პროცენტით, თიანეთის — 104,3 პროცენტით, თელავის — 103,3 პროცენტით და ხობის რაიონმა — 100 პროცენტით.

ხე-ტყის დამზადების დავალებები შეასრულეს აგრეთვე ახმეტის, წულუკიძის, ლანჩხუთის, ცხაკაიას, ორჯონიკიძის და ფოთის რაიონებმა.

ხელოვნების მუშაკთა შეხვედრა ჩინელ მსახიობებთან

გუშინ, 12 თებერვალს, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში მოეწყო ხელოვნების მუშაკთა შეხვედრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცირკის მსახიობებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ ხელოვნების მუშაკები—თბილისის თეატრების მსახიობები, რეჟისორები, მხატვრები, კომპოზიტორები, დირიჟორები და სხვ.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილემ შ. ბუაჩიძემ.

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახელით მან დიდი მადლობა გადაუხადა ჩინელ მსახიობებს საქართველოში მათი ჩამოსვლის გამო. ჩინური ხელოვნება, განსაკუთრებით ვირტუოზული საცირკო ხელოვნება, უძველესი დროიდანაა ცნობილი. გმირი ჩინელი ხალხის მიერ გამოგზავნილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცირკის მსახიობთა გასტროლებს უდიდესი აღფრთოვანებით ხვდება მთელი საბჭოთა ხალხი. ჩინელ მსახიობთა გასტროლებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა და ჩინელი ხალხების თანამეგობრობის უფრო განმტკიცებისათვის.

დარბაზში გაისმის აღფრთოვანებული შეძახილები ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისა და მრავალმილიონიანი ჩინელი ხალხის საყვარელი ბელადის მაო ძე-დუნის პატივსაცემად.

შეხვედრაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა შ. დადიანმა და საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის პრეზიდიუმის წევრმა ვ. ნინოძემ.

შეხვედრაზე ჩინელ მსახიობებს გადაეცათ იმ სახლის მხატვრულად შესრულებული მაკეტი, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა დიდმა სტალინმა.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ჩინელ მსახიობთა ანსამბლის ხელმძღვანელი დინ ლი, რომელმაც აღფრთოვანებით ილაპარაკა საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის ურყევ მეგობრობაზე.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი ჩინელ და ქართველ მსახიობთა მონაწილეობით.

კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატები

★ ★ ★ ★

წარჩინებული მეკონსერვე

სოხუმი. (საკ. კორ.). ოცი წელია სოხუმის საკონსერვო ქარხანაში მუშაობს მარიამ პეტრეს ასული ბასილაია. მისი სახელი, როგორც წარმოების ნოვატორისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაკისა, ფართოდაა ცნობილი.

მარიამ ბასილაიას ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი თარიღია 1940 წელი, როცა ის მიწვეულ იქნა მოსკოვში კვების მრეწველობის სტახანოველთა საკავშირო თათბირზე დასასწრებლად. და მაშინ მან, რიგითმა მუშამ, პირველად მოიარა ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქის ქუჩები, დატკბა მისი სიმშვენიერით, ნახა კრემლი, სადაც მუშაობს და მოღვაწეობს კომუნიზმის მშენებლობის ხუროთმოძღვარი, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

სტახანოველმა ქალმა თათბირზე წარმოთქვა სიტყვა და თავისი მუშაობის გამოცდილება გაუზიარა დამსწრეებს, აქ, სხვებთან ერთად, ისიც დაჯილდოებულ იქნა „კვების მრეწველობის ფრიადოსნის“ ნიშნით.

სოხუმში მ. ბასილაია გახარებული დაბრუნდა და გაორკეცებული ენერგიით შეუდგა მუშაობას. დიდი სამამულო ომის წლებში მთელ კოლექტივთან ერთად საბჭოთა მეომრებისათვის განუწყვეტლივ უშვებდა კონსერვებს.

ომის დაწყებისთანავე მან თავისი შვილი ალერსით გააცილა ფრონტისაკენ და თან დააბარა: გამარჯვება, ან თავისდადება მამულისათვის, მე კი აქ არ შეგარცხვენო!

მეომარმა და მუშა ქალმა, ჯარისკაცმა და დედამ — ორივემ ღირსეულად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე!

ომისშემდგომ პერიოდში სახელოვანი მეკონსერვე უფრო თავდადებით მუშაობს. მისი ინიციატივით ქარხანაში დაინერგა ბევრი სიახლე. იგი მრავალი რაციონალიზატორული წინადადების ავტორია.

ოთხი წლის წინათ მ. ბასილაია არჩეულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. როგორც დეპუტატი, იგი აქტიურად მონაწილეობს ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებში. ამ პერიოდში განსაკუთრებით ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც ბესლეთის № 295 საარჩევნო ოლქის ტერიტორიას შეიცავს, თვალსაჩინოდ შეიცვალა. რეკონსტრუირებულ და კეთილმოწყობილ იქნა გორის ქუჩა, კიროვისა და ბერიას ქუჩები, თბილისის გზატკეცილი. მდინარე ბესლეთზე შენდება რკინაბეტონის ულამაზესი ხიდი და სხვ. წარმოებს ბესლეთის საარჩევნო ოლქში შემავალი საკონსერვო ქარხნის რეკონსტრუქცია და გაფართოება. იგი ერთ-ერთი მძლავრი საწარმო იქნება სოხუმში.

წარჩინებული მეკონსერვე მაღალნაყოფიერად იბრძვის პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და წარმოებაში ახალი მეთოდების დანერგვისათვის. მან ათობით ახალგაზრდა მუშას შეასწავლა მურაბის ხარშვის პროცესი. მისი ყოფილი მოწაფეები სონია შალიკაშვილი, თამარ ჯანაშია, ალექსანდრა ჰანკვეტაძე, ალექსი გრიშენკო და სხვები ახლა თვითონ ახალგაზრდა კადრების აღმზრდელნი არიან.

მარიამ ბასილაია ქარხნის პარტბიუროს წევრია. ის არის აგრეთვე კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქარხნო, რესპუბლიკური და ცენტრალური კომიტეტების წევრი. მან გაამართლა ხალხის ნდობა, დაიმსახურა ხალხის მსახურის სახელი. ამიტომ საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა იგი ხელმეორედ დაასახელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ხაშურის რაიონის მშრომელთა კანდიდატები

ხაშური. (საკ. კორ.). ალის სასოფლო კლუბში თავი მოიყარა 500-ზე მეტმა ამომრჩეველმა. მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს ამხ. გ. გ. ფოფხაძეს.

სიტყვა ეძლევა ნდობით აღჭურვილ პირს მასწავლებელს ამხ. ა. მჭედლიძეს.

წინასაარჩევნო კრებაზე, — ამბობს იგი, — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დასახელებულ იქნა ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. გრიგოლ გიორგის-ძე ფოფხაძე. შემდეგ ამხ. მჭედლიძე ლაპარაკობს იმ დამსახურებაზე, რაც ამხ. ფოფხაძეს მიუძღვის სამშობლოს წინაშე.

სიტყვები წარმოთქვეს ალის საშუალო სკოლის დირექტორმა ა. ნოზაძემ, ახალგაზრდა ამომრჩეველმა რ. ნოზაძემ, მოწინავე კოლმეურნემ ვ. ახალკაცმა და სხვებმა. ისინი ხაშურის რაიონის ალის № 86 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს მოუწოდებენ 18 თებერვალს ხმა მისცენ დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს ამხ. გ. ფოფხაძეს.

დასასრულ დეპუტატობის კანდიდატმა ამხ. გ. ფოფხაძემ გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს დიდი ნდობისათვის, აღუთქვა მათ, რომ შემდეგშიც ერთგულად ემსახურება ხალხის კეთილდღეობის საქმეს.

ამომრჩევლებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს შეხვედრები მოუწყეს აგრეთვე გომის № 84 საარჩევნო ოლქში — ოსიაურის კოლმეურნეობის მერგოლურს ამხ. ელენე ნიკოლოზის ასულ ენუქიძეს; სურამის № 83 საარჩევნო ოლქში — სურამის ბავშვთა სანატორიუმის უფროს ექიმს სოფიო ნესტორის ასულ თაქთაქიშვილს და ქვიშხეთის № 85 საარჩევნო ოლქში — ხაშურის სალიანდაგო დისტანციის ბრიგადირს ამხ. ილია პავლეს-ძე ბარბაქაძეს.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე

ცხაკაიის რაიონის მშრომელებში ფართოდ არის ცნობილი სოფელ უშაფათის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის ვალენტინა ვლადიმერის ასულ შეროზიას სახელი.

ვ. შეროზიამ ბავშვობა დუხჭირ პირობებში გაატარა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ჰპოვა მან ბედნიერი ცხოვრება. 1930 წელს 23 წლის ახალგაზრდა ქალი პირველი შევიდა თავისი სოფლის — უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში და ბეჯითი შრომით კოლმეურნეთა სიყვარული დაიმსახურა.

1936-1937 წლებში ვ. შეროზია კოლმეურნეობაში სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლის ინიციატორი გახდა. მთელ რაიონში სახელი გაითქვა როგორც მოწინავე მეჩაიე-კოლმეურნემ. 350-400 პროცენტით ასრულებდა ჩაის ფოთლის კრეფის დღიურ დავალებებს, სხვებსაც უზიარებდა თავის გამოცდილებას, ამზადებდა მკრეფავთა ახალ კადრებს.

საკოლმეურნეო შრომის წარჩინებული ქალი უშაფათის მშრომელებმა 1938 წელს ერთსულოვნად აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ვალენტინა შეროზია 1939 წლიდან სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეა. დიდი სამამულო ომის წლებში მისი ხელმძღვანელობით სოფლის აქტივი, მშრომელები დაძაბულად შრომობდნენ საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში და თავიანთი წვლილი შეჰქონდათ მტერზე გამარჯვების საქმეში. 1947 წელს იგი მეორედ აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

მოწინავე საბჭოთა ქალი ვ. შეროზია გულისხმიერი მუშაკი და მშობლიური სოფლის აქტიური მშენებელია. სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელობით და მშრომელთა ფართო მონაწილეობით სოფელმა ძირფესვიანად იცვალა სახე. აშენდა საშუალო და რვაწლიანი სკოლის შენობები, სამკითხველოს და საექიმო უბნის შენობა, 2 ახალი კლუბ-კანტორა. რადიოფიცირებულია 43 კოლმეურნის ოჯახი, ხოლო 103 ოჯახში გაყვანილია ელექტროშუქი. გაყვანილია ჩაის პლანტაციებში მისასვლელი 8 კილომეტრი გზები.

სასოფლო საბჭო და მისი თავმჯდომარე ვ. შეროზია დიდ ყურადღებას აქცევენ მშრომელთა კულტურულ მომსახურებას. სისტემატურად ეწყობა კინოსურათების ჩვენება. კონცერტებს მართავს ცხაკაიის რაიონის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი; სოფელს ემსახურება კულტსახლის მხატვრული ბრიგადა.

უშაფათის სასოფლო საბჭო სისტემატურად და დროზე ასრულებს სახელმწიფო გეგმებს. ეს იმის შედეგია, რომ ამხ. ვალენტინა შეროზია ნაყოფიერ შემოქმედებითს-ორგანიზატორულ მუშაობას ეწევა, სარგებლობს დიდი ავტორიტეტით, მშრომელთა მხარდაჭერითა და სიყვარულით.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ახალი გეგმები აქვს დასახული. იგი ახლა მუშაობს კოლმეურნის ყველა ოჯახის რადიოფიცირებისა და ელექტროფიცირებისათვის, გეგმავს სასოფლო კლუბის მშენებლობას, სოფლის შემდგომ კეთილმოწყობას.

უშაფათელები ამაყობენ თავიანთი მოამაგით, უყვართ იგი. ამიტომ მათ კვლავ დაასახელეს ვალენტინა შეროზია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, ხოლო ნაქალაქევის № 263 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ იგი რეგისტრაციაში გაატარა.

ვალენტინა შეროზია სტალინურ ეპოქაში აღზრდილი ახალი ტიპის ადამიანია. მას ერთსულოვნად მისცემენ ხმას ამომრჩევლები.

ბ. მილიუტინი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

განათლების მოწინავე მუშაკი

გორის სტალინის № 73 საარჩევნო ოლქის № 1 საარჩევნო უბნის ამომრჩევლები შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, გორის ქალთა მეორე საშუალო სკოლის დირექტორს ელენე ვასილის ასულ სამადაშვილს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა ამხ. ხუროშვილმა ფართოდ დაახასიათა დეპუტატობის კანდიდატის შრომითი საქმიანობა. მოუწოდა ამომრჩევლებს ხმა მისცენ მოწინავე პედაგოგს ამხ. სამადაშვილს.

დიასახლისმა ამომრჩეველმა ელენე სახალელმა თქვა:

— დიდი სიხარულით ვეგებებით არჩევნებს, როგორც წინა არჩევნებში, ახლაც ერთსულოვნად მივცემთ ხმას ჩვენი სამშობლოს ერთგულ ადამიანებს. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება დეპუტატობის ჩვენი კანდიდატი. მოგიწოდებთ ხმა მისცეთ ენერგიულ და თავდადებულ მუშაკს, ახალი თაობის მზრუნველ აღმზრდელს ელენე სამადაშვილს.

მოსწავლეები მედეა ძლიერი და თამარ ისამაშვილი საკუთარი ლექსებით მიესალმნენ დეპუტატობის კანდიდატს.

ამხ. ე. სამადაშვილმა მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს იმ ნდობისათვის, რაც მას გაუწიეს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებით და პირობა დადო მთელი თავისი ენერგია მოახმაროს მოზარდი თაობის აღზრდას.

შ. ჩუბინიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

3 ათასი სიკვდილმისჯილი ბერძენი პატრიოტის დედების დელეგაციის მიმართვა ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი

ამას წინათ ამხანაგ ი. ბ. სტალინის სახელზე მოვიდა 3 ათასი სიკვდილმისჯილი ბერძენი პატრიოტის დედების დელეგაციის შემდეგი მიმართვა:

„ჩვენ 3.000 სიკვდილმისჯილის ტანჯულ-წამებული დედები გევედრებით თქვენ, ბ-ნო სტალინ, და ყველა პატიოსან ადამიანს, რომელთაც ნამდვილად უყვართ მშვიდობა და მყუდროება.

გთხოვთ ერთი წუთით მოგვაპყროთ თვალი. გთხოვთ ჩასწვდეთ ჩვენს წარმოუდგენელ ტრაგიკულ მდგომარეობას, იმ დედების ტანჯვასა და მწუხარებას, რომელთა შვილებსაც განუწყვეტლივ ელის სიკვდილი. ჩვენ თავს დაგვტრიალებს, დღედაღამ სულს გვიხუთავს სიკვდილის შიში, მწარეთ გვეკუმშება გული და ყოველ წამს მოველით საშინელ ამბავს.

რაზმები, რომლებსაც სისრულეში მოჰყავთ სიკვდილის განაჩენები, — ის კოშმარია, რომელიც ჩვენ გვტანჯავს და ჩვენს შვილებს სიცოცხლეს უმწარებს. ჩვენ მუდამ შიშში ვართ, მუდამ თვალწინ გვიდგას საშინელი წუთი.

გთხოვთ ერთი წუთით იფიქროთ 3.000 სიკვდილმისჯილზე, რომელნიც დიდი ხანია სიკვდილს ელიან, იფიქროთ ცოცხლივ მკვდრებზე, რომლებმაც იციან, რომ თუ დღევანდელი მდგომარეობა გაუარესდა, ისინი სიცოცხლეს დაკარგავენ, ისინი მუდამ სიკვდილის შიშს განიცდიან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათი სასტიკი დასჯა ძალიან დიდხანს გრძელდება. საპყრობილის საკნები და საპყრობილეებში გამეფებული საშინელი პირობები, ყოველივე ის, რაც მათ დღემდე გადაიტანეს და კვლავ იტანენ, სავსებით საკმარისია.

ბევრი სისხლი დაიღვარა ორივე მხარეზე დღემდე, ბევრი ქალი და კაცი იქნა დახოცილი. ჩვენმა ტრაგიკულმა მდგომარეობამ დიდად ააღელვა მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი, და ამ საზოგადოებრივი აზრის ჩარევის მეოხებით სიკვდილით დასჯა შეჩერებულ იქნა.

ჩვენი თხოვნა არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის უშიშროებისათვის ზრუნვას, რამდენადაც ჩვენ მათს განთავისუფლებას კი არ ვითხოვთ, არამედ მხოლოდ იმას ვთხოულობთ, რომ სასიკვდილო განაჩენი სხვა სასჯელით შეეცვალოთ.

რატომ არ გვიხსნის მთავრობა ამ ტანჯვისაგან, რატომ არ შეცვლის სასიკვდილო განაჩენს სხვა სასჯელით, თუ კი იგი არ აპირებს მათს დახვრეტას?

რატომ განაგრძობს მთავრობა ჩვენს ტანჯვას?

ჩვენ, დედები, გთხოვთ ყველას, ვისაც გყავთ დედები და შვილები და შეგიძლიათ გაიგოთ ჩვენი მდგომარეობა: გვიხსენით საშინელი საფრთხისაგან, თავიდან აგვაშორეთ ჩვენი შვილების სიკვდილი. მოითხოვეთ ეს მშვიდობისა და მყუდროებისათვის.

ჩვენ მივმართავთ არა თქვენს პოლიტიკურ რწმენას, არამედ თქვენს ადამიანურ გრძნობებს და მხურვალედ გთხოვთ აღიმაღლოთ ხმა, რათა იხსნათ ათასობით ბერძენთა ოჯახი სიკვდილის აჩრდილისაგან; რათა ჩვენ კვლავ ვპოვოთ დაკარგული სიმშვიდე; რათა ვირწმუნოთ, რომ ომი უკვე დამთავრდა და რომ მშვიდობა და მყუდროება დამკვიდრდება ჩვენს სახლებში. მხურვალე მადლობით:

მ. გეორგანტა, ე. ქსიმეონიდუ, მ. მიტრიცი, ვ. მანცაკოპულო, ც. ევანგელია, ცოკა, კ. პაგულატუ, როდოპულუ, ბოტუნი, ე. ტოპინაკი, სარაპულუ, ე. გეორგანტა, მ. პოტაიოანუ, დ. ნერაძი, ო. ოსკინი.

ათენი, 1951 წლის 25 იანვარი“.

ბერძენ პოლიტიკურ პატიმართა ნათესავების მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი

ათენი, 11 თებერვალი. (საკდესი). გაზეთი „დემოკრატიკოს ტიპოს“ იუწყება, რომ ამას წინათ ბერძენ პოლიტიკურ პატიმართა და გადასახლებულთა ნათესავებმა მიმართვა გაუგზავნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე შუამდგომლობენ მოსთხოვოს საბერძნეთის მთავრობას, რომ საპყრობილეებიდან და საკონცენტრაციო ბანაკებიდან გაათავისუფლოს მძიმე ავადმყოფები, გააუქმოს სასიკვდილო განაჩენები და გააუმჯობესოს ცხოვრების პირობები პატიმრებსა და გადასახლებულებს.

მშვიდობის საერთაშორისო პრემიების გადაცემა

პარიზი, 10 თებერვალი. (საკდესი). გუშინ პარიზში „მიუტიუალიტეს“ დარბაზში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის ფრედერიკ ჟოლიო-კიურის და საფრანგეთის დედაქალაქის დემოკრატიული საზოგადოებრიობის, მეცნიერული და კულტურული სამყაროს მრავალი წარმომადგენლის თანდასწრებით მოხდა მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მიერ მიკუთვნებული მშვიდობის საერთაშორისო პრემიებისა და მშვიდობის ოქროს მედლების საზეიმო გადაცემა. მშვიდობის საერთაშორისო პრემია გადაეცა მხატვარ პაბლო პიკასოს; მშვიდობის ოქროს მედლები — კინორეჟისორს ლუი დაკენს და მწერლის ჟან-რიშარ ბლოკის ქვრივს (მედალი ჟან-რიშარ ბლოკს გარდაცვალების შემდეგ მიეკუთვნა).

საზეიმო ცერემონიის დამთავრების შემდეგ ორკესტრმა როჟე დეზორმიერის ლოტბარობით შეასრულა შოსტაკოვიჩის „მშვიდობის სიმღერა“.

დამთავრდა სტუდენტთა საზამთრო მსოფლიო თამაშობა

ბუქარესტი, 8 თებერვალი. (საკდესი). გუშინ პოიანაში, ქალაქ სტალინის მახლობლად, საზეიმო ვითარებაში დამთავრდა სტუდენტთა საზამთრო მსოფლიო თამაშობა.

მონაწილეთა პარადის შემდეგ გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ პრიზები.

პრიზი პირველი ადგილისათვის სათხილამურო შეჯიბრებაში მოიპოვა საბჭოთა გუნდმა; პრიზი საციგურაო შეჯიბრებაში ერგო აგრეთვე სსრ კავშირის გუნდს.

პრიზი მთიდან თხილამურით ჩქარ დაშვებაში პირველობისათვის ხვდა პოლონეთის გუნდს; ციგურით ინდივიდუალური ფიგურული სრიალისათვის — ჩეხოსლოვაკიის გუნდს და დაწყვილებული სრიალისათვის — უნგრეთის გუნდს. პრიზი პირველობისათვის ციგურა-ბურთში შაიბით ერგო ჩეხოსლოვაკიის გუნდს. შეჯიბრების ყველა ამ სახეობაში საბჭოთა კავშირის სპორტსმენებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

სასპორტო დღესასწაული დახურა სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის თავმჯდომარემ ი. გრომანმა, რომელმაც თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა მოწყობილი თამაშობის დიდი მნიშვნელობა ყველა ქვეყნის სტუდენტობის დასარაზმავად მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ინდუსტრიული ქალაქი ტყვარჩელი არჩევნებისათვის ემზადება

მუდამ თოვლით დაფარულ კავკასიონის მთებში იღებს სათავეს მდინარე ღალიძგა. მას საუკუნეთა განმავლობაში წიფლნარითა და წაბლნარით დაბურული მდიდარი ხეობა შეუქმნია. იგი წარმტაცია განსაკუთრებით იქ, სადაც უზარმაზარი მთები — აისირი და ლაშქენდარი ერთმანეთს უახლოვდებიან. ცამდე აზიდული ეს მთები ბუნებას ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყით და მრავალი წიაღისეული სიმდიდრით დაუჯილდოებია.

მაგრამ ჟამთა მსვლელობაში ამ მთებს არ მიჰკარებია არც ზენაქარი და ზღვაური, არც ადამიანის ხელი.

გადიოდა წლები. ეს მხარე მიუვალი და მიყრუებული რჩებოდა, სანამ გასული საუკუნის 80-იან წლებში მდინარის ზემო წელში ქვანახშირის საბადო არ იპოვნეს. მაგრამ მისი დამუშავება მეფის რუსეთის პირობებში შეუძლებელი იყო.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ უჩვენა ხალხებს გზა ახალი ცხოვრებისაკენ და ბუნების სიმდიდრენიც მშრომელების სამსახურში ჩააყენა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დადგა კავკასიისა და კერძოდ ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების დამუშავება-გამოყენების საკითხი. 1921 წლის 14 აპრილს ვ. ი. ლენინი კავკასიელ კომუნისტებს სწერდა: „ნავთი, შავი ქვა, ნახშირი (ტყვარჩელის მაღაროები), სპილენძი — ასეთია უდიდესი სამთო სიმდიდრის არასრული სია... მთელი ძალღონით უნდა განავითაროთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი, რწყვა“... და ა. შ. (რჩეული ნაწერები. ტ. V, გვ. 186).

ჩვენ დღეს მოწმე ვართ იმისა, თუ როგორ შეისხეს ხორცი ლენინის ამ მითითებებმა.

ლენინისა და სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ფ. ძერჟინსკის დავალებით ტყვარჩელში ჩამოვიდა სამეცნიერო ექსპედიცია, ხოლო 1929 წელს დაიწყო № 1 შახტის გათხრის სამუშაოები და იგი ექვსი წლის შემდეგ, 1935 წელს, საექსპლოატაციოდ გადაეცა. დღეს შახტი ღირსეულად ატარებს დიდი სტალინის სახელს და საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობას ინარჩუნებს.

* * *

ახალმა ადამიანებმა და ტექნიკამ სახე უცვალეს მდინარე ღალიძგის სანაპიროებს. რუკაზე გამოჩნდა დასახლებული პუნქტები. 1933 წელს ტყვარჩელში შევიდა პირველი მატარებელი. შეიქმნა კულტურის კერები, ელექტრონათურებით გაჩირაღდნდა მუშათა ბინები, საბჭოთა ადამიანებმა აახმაურეს წინად უღრანი ტყეებით დაფარული ეს მიდამო, სოციალისტური მშენებლობა სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ.

აკარმარა ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს ცენტრია. მან საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ წინა არჩევნების შემდგომ პერიოდში მთლიანად იცვალა სახე — დამშვენდა მუშათა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებით, სკვერებით, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამკურნალო დაწესებულებებით. წინათ უკაცურ და წყვდიადით მოცულ აკარმარის გორაკებში დღეს სიცოცხლე ჩქეფს. საღამოთი მძლავრი ელექტრონათურებით არის გაჩირაღდნებული. აქედან ყველა შახტისაკენ მიდის ფართო საავტომობილო გზა, ხოლო საბაგირო ტრასა — კვეზანისაკენ. ამ ხაზზე განუწყვეტლივ მისრიალებენ შავი ოქროთი დატვირთული ვაგონეტები.

მოკლე ხანში გაფართოვდნენ და უფრო კეთილმოწყობილი გახდნენ მეშახტეთა დაბები ჯანტუხა, ხილკვარა და მახმე, სადაც აღიმართნენ თეთრი, ლამაზი სახლები, სკოლები, კლუბები და საავადმყოფოები.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ახალი ინდუსტრიული ქალაქის — ტყვარჩელის მშენებლობა. მშენებლობაში მთელი რესპუბლიკა აქტიურ მონაწილეობას იღებს. უკანასკნელ წლებში შეიქმნა ახალი შახტები, საწარმოები და კეთილმოწყობილი დასახლებული პუნქტები. მათ შორის აღსანიშნავია შახტი აჩიბლარა, რომელიც დღეს საქართველოში საუკეთესო შახტის წოდებას ატარებს.

ახალი საწარმოების მშენებლობისა და იმ დიდი პერსპექტივისათვის, რაც ტყვარჩელს აქვს, 1942 წელს დაბა ტყვარჩელი გარდაქმნილ იქნა ქალაქად. ეს იყო მეშახტეებისათვის პარტიისა და მთავრობის, დიდი სტალინის განუწყვეტელი ზრუნვის შედეგი.

მაგრამ ტყვარჩელის გეოგრაფიული პირობები შეუძლებელს ხდიდა ნამდვილად კეთილმოწყობილი, მეშახტეთა თანამედროვე ქალაქის გაშენებას ქვანახშირის საბადოების ახლოს. ამას ხელს უშლის აკარმარის უსწორო რელიეფი და მთებით შეზღუდულობა. ამიტომ გადაწყდა და ჩქარი ტემპით გაშენდა ქალაქი კვეზანის ზემო უბანში.

კვეზანის ზემო ტაფობზე, სწორედ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდგომ პერიოდში გაშენდა ქალაქის ცენტრი. იგი დამშვენდა მუშათა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებით, საქალაქო ორგანიზაციებისა და „შახტმშენის“ ტრესტის ადმინისტრაციული სახლებით, საშუალო სკოლის სამსართულიანი მშვენიერი შენობით, რომელიც ერთერთი საუკეთესოა მთელ აფხაზეთში, საბავშვო ბაღით, მშენებელთა კლუბებით და ნაგებობანით.

რეკონსტრუირებულ და კეთილმოწყობილ იქნა მრავალი ქუჩა და მოედანი, ისინი თანდათან დაიფარება ასფალტითა და გუდრონით; ჩნდება ახალ-ახალი სკვერები და გაზონები. ქალაქში არ იყო სასტუმრო, კეთილმოწყობილი რესტორანი, ახლა არის. ცენტრალური ქუჩები, მოედნები და მეშახტეთა დაბები დაამშვენა მწვანე ნარგავებმა და ელექტროლამპიონებმა.

უფრო დიდია ქალაქის პერსპექტივა. წელს დაიწყება კულტურის დიდი სახლის მშენებლობა. კვეზანში ძველის ნაცვლად შენდება რკინიგზის ახალი ვაგზალი, მალე დაიწყება მისი მოედნის კეთილმოწყობა, აშენდება ახალი სკოლები, საბავშვო ბაღები, ფიზკულტურის სტადიონი, ახალი საცხოვრებელი სახლები. კვეზანის ქვედა ნაწილი ზემო ნაწილს დაუკავშირდება ბეტონის არქიტექტურულად გაფორმებული ლამაზი კიბით. ფართოვდება და უფრო კეთილმოწყობილი ხდება ქალაქის დანარჩენი უბნებიც.

ომისშემდგომ სტალინურ ხუთწლედში სამრეწველო წარმოების ტემპი ტყვარჩელში უფრო გადიდდა. უფრო ფართოდ გაჩაღდა ქვანახშირის მოპოვება, ელექტროენერგიის გამომუშავება. ამასთან დაკავშირებით შესამჩნევად გაიზარდა მოსახლეობა, უკანასკნელ წლებში შეიქმნა ახალი კეთილმოწყობილი დასახლებული პუნქტები და დაბები. ამას ისიც მოწმობს, რომ ამას წინათ ჩატარებული საქალაქო საბჭოს არჩევნების დროს ტყვარჩელში შექმნილი იყო 28 საარჩევნო ოლქით მეტი, ვიდრე წინა არჩევნების დროს იყო.

ამჟამად შექმნილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შვიდი საარჩევნო ოლქი. მაღალ საწარმოო და პოლიტიკურ ვითარებაში მოეწყო დეპუტატობის კანდიდატების წამოყენებისადმი მიძღვნილი წინასაარჩევნო კრებები. მშრომელებმა თავიანთ კანდიდატებად დაასახელეს, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიებმა რეგისტრაციაში გაატარეს წარჩინებული მეშახტეები, ენერგეტიკოსები და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატია ბერიას სახელობის შახტის ცნობილი სტახანოველი, ლენინის ორდენოსანი ვასილ ქიტნიკოვი, რომელიც ახლა 1962 წლის ანგარიშში მუშაობს. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად რეგისტრირებული არიან სტალინის სახელობის შახტის მოწინავე უბნის უფროსი ნიკოლოზ ხუნტუა, ტყვარჩელის პირველი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გოგიტა მანჯგალაძე, ენერგეტიკოსი ეკატერინე ტერიოკინა და სხვ.

უდიდესი პოლიტიკური აქტივობით მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლო აგიტაცია. ათასამდე აგიტატორი, ნდობით აღჭურვილი პირი და პროპაგანდისტი ამომრჩევლებს ესაუბრება სტალინური კონსტიტუციის დიად პრინციპებზე, ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის წარმატებით შესრულებასა და კომუნიზმის დიად მშენებლობებზე, დეპუტატობის კანდიდატთა შრომითს და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე და სხვ. აგიტატორები მშრომელებს მოუთხრობენ იმაზე, თუ რა იყო წინათ ტყვარჩელი და როგორია იგი დღეს.

ახალი ინდუსტრიული ქალაქის მშრომელები არჩევნებს სახელოვანი წარმატებებით ხვდებიან. „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტის კოლექტივმა გასული სამეურნეო წელი მაღალნაყოფიერად დაამთავრა და წლიური გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა ათეულ ათასობით ტონა ქვანახშირი. იგი წარმატებით ინარჩუნებს პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გარდამავალ წითელ დროშას. არჩევნებისათვის მზადების დღეებში მეშახტეები დადგნენ სტახანოვურ ვახტზე, რათა განიმტკიცონ წარმატებანი და კვლავ შეინარჩუნონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ამ დღეებში არაჩვეულებრივი შრომითი აღმავლობაა სტალინის სახელობის შახტის მეშახტეებსა და ენერგეტიკოსებს შორის. ისინი მოწინავეთა რიგებში დგანან და წარმატებით ასრულებენ არჩევნებისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის წინა დღეებში საზეიმო იერი აქვს მეშახტეთა ქალაქს. შახტებისა და ახალმშენებლობათა კორპუსების ფასადებს ამშვენებენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, წითელ არშიაზე წარწერილი საარჩევნო ლოზუნგები, პლაკატები და ტრანსპარანტები. მთელ დღეს, გვიან ღამემდე საარჩევნო უბნები და აგიტპუნქტები სავსეა ხალხით. ამომრჩევლები ამოწმებენ სიების სისწორეს, ეცნობიან დეპუტატობის კანდიდატთა საქმიანობას. საარჩევნო სააგიტაციო მუშაობა კარგად მოაწყეს მარცხენა სანაპიროს, აკარმარისა და მახმეს აგიტპუნქტებმა (გამგეები: სალუქვაძე, ზახაროვი და კონვერი), სტალინის სახელობის შახტის საგანრიგო განყოფილებისა და ბინათმშენებლობის აგიტატორებმა ა. ცაავამ, ლ. ლატარიამ, კ. მოროხიამ, გ. გვასალიამ, ნ. დემიდოვმა და სხვ.

ტყვარჩელელები საამაყო მაჩვენებლებით ხვდებიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს.

ს. შონია

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარისა და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი

ფხენიანი, 11 თებერვალი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა პაკ ხენ ენმა გუშინ შემდეგი განცხადება გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარესა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს:

ამერიკელ დამპყრობთა აშკარა ავაზაკური, წინასწარმოფიქრებული და გულმოდგინედ მომ- [illegible]

[illegible] ლაქო მოსახლეობა, აშინებდნენ მათ, ქალაქში ატომურ ბომბებს ჩამოაგდებენ და, თუ სეულში დარჩით, ყველანი დაიღუპებითო. სამხრეთისაკენ გზებზე მიმავალ ხალხს ამერიკელთა თვითმფრინავები ხვრეტდნენ. მაგალითად, მდინარე კანგანთან ამერიკელებმა თვითმფრინავებიდან დახვრიტეს 300-ზე მეტი კაცი, მათ შორის ბევრი ქალი და ბავშვი. სეულიდან სამხრეთისაკენ მიმავალი გზები მოფენილია სრულიად უდანაშაულო ადამიანთა გვამებით — ესენი არიან [illegible]

[illegible]

პაკ ხენ ენი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ბულგარეთი

ბულგარეთის მშრომელები იბრძვიან პირველი ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

ამას წინათ გაბროვოს 200 ფეიქარმა ქალმა — ვილკო ჩერვენკოვის სახელობისა და სხვა ფაბრიკების მუშა ქალებმა ვალდებულება იკისრეს შეასრულონ ხუთწლედი სამ წელიწადში, ხოლო სტახანოველმა ნაზადა აბდულოვამ და შრომის მთელმა რიგმა სხვა მოწინავეებმა პირობა დადეს ორი ხუთწლიანი დავალება 1951 წლის დამლევისათვის დაამთავრონ.

[illegible]

რუმინეთი

[illegible]

უნგრეთი

[illegible]

ჩეხოსლოვაკია

[illegible] სამებრ აქტიურ მონაწილეობას იღებს ჩეხოსლოვაკელი ჭაბუკები და ქალიშვილები. მათ ეს სამრეწველო მშენებლობა ახალგაზრდობის დამკვრელ მშენებლობად გამოაცხადეს.

გასულ წელს სამშენებლო ნებაყოფლობით ბრიგადებში მონაწილეობა მიიღო ჩეხოსლოვაკიის 18 ათასზე მეტმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა.

პროტესტები გერმანელი სამხედრო დამნაშავის კრუპის განთავისუფლების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 9 თებერვალი. (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის წევრმა დოლინგერმა (დემოკრატი, ნიუ-იორკის შტატი) გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის საოკუპაციო ხელისუფლებმა დასავლეთ გერმანიაში გააუქმეს პატიმრობის განაჩენი ზარბაზნის მეფის კრუპისადმი, აგრეთვე 20 სხვა ნაცისტი სამხედრო დამნაშავისადმი, რომელთაც თავდაპირველად მისჯილი ჰქონდათ სიკვდილი. დოლინგერმა წარმომადგენელთა პალატაში შეიტანა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს, რომ დასავლეთ გერმანიაში ამერიკელ ხელისუფალთა საქმიანობა გამოკვლეულ იქნას „სრულად და დაუყოვნებლივ".

ბელგიის მთავრობის საომარი მზადება

ჰააგა, 8 თებერვალი. (საქდესი). როგორც გაზეთ „ალგემაინ დაგბლადი" ბრიუსელიდან იუწყება, ბელგიის მთავრობამ გამოაცხადა ახალი მიღება საფრენოსნო სკოლებში. შემუშავებულია გეგმა, რომლის თანახმადაც ბელგიის სამხედრო-საჰაერო ძალთა რიცხობრივი შემადგენლობა აყვანილ უნდა იქნას 700 თვითმფრინავამდე.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 10 თებერვალი, (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 10 თებერვალს გამოაქვეყნა ცნობა:

სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეთა ნაწილებთან ერთად განაგრძობდნენ ბრძოლებს ფრონტის ცალკეულ უბნებზე.

ვონჯუს (გენძიუ) რაიონში სახალხო არმიის ნაწილებმა დიდი ზარალი მიაყენეს ამერიკელთა და ლისინმანელთა ჯარებს. ამ ბრძოლებში სახალხო არმიის ნაწილებმა წამოიყვანეს ბევრი ტყვე, მათ შორის 100-ზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

[illegible] ფრონტის ცენტრალურ უბანზე სახალხო არმიის ნაწილებმა უკანასკნელ დღეებში ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 4 თვითმფრინავი.

ფხენიანი, 11 თებერვალი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის ნაწილები განაგრძობენ ბრძოლას მტრის წინააღმდეგ, რომელიც კონტრშეტევაზე გადმოვიდა ქალაქ სუვონის (სუიგენი) ჩრდილოეთით, და დიდ ზარალს აყენებენ მის ცოცხალ ძალას.

[illegible]

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის სხდომა

[illegible] გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი, რომ მშვიდობისათვის ბრძოლაში მრავლდება და მტკიცდება მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ახალგაზრდობის რიგები.

აღმასრულებელ კომიტეტს მიაჩნია, — ნათქვამია რეზოლუციაში, — რომ ამჟამად დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა და მასში შემავალი ორგანიზაციების მთელი საქმიანობის მთავარი ამოცანა ის არის, რომ იბრძოლონ დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და ყველა ქვეყნის ახალგაზრდობას განუმარტონ, რომ მშვიდობა და რემილიტარიზაცია შეუთავსებელი ცნებებია.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტი რჩევას იძლევა შეიქმნას რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებს ახალგაზრდობის ყველა ორგანიზაცია — პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური, სასპორტო ორგანიზაციები, შედიან თუ არა ისინი დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციაში.

რეზოლუციაში ნათქვამია, რომ აღმასრულებელი კომიტეტი გერმანელ ახალგაზრდობას მიმართავს მოწოდებით უფრო ენერგიულად იბრძოლოს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, ახალი ომის პლაცდარმად მისი გადაქცევის წინააღმდეგ, აგრეთვე მოუწოდებს გერმანიის უშუალოდ მოსაზღვრე [illegible] სამხედრო შეკვეთების მიზეზით მცირდებოდეს სამშვიდობო პროდუქციის წარმოება.

აღმასრულებელი კომიტეტი, — ნათქვამია დასასრულ რეზოლუციაში, — ღრმად დარწმუნებულია, რომ ხალხებს შეუძლიათ დაიცვან მშვიდობის საქმე, და მიმართავს ყველა ჭაბუკსა და ქალიშვილს მოწოდებით, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა მშვიდობისათვის ახალგაზრდა მებრძოლთა გულში: „ახალგაზრდობავ, გაერთიანდი!", „წინ, მტკიცე მშვიდობისათვის!".

შემდეგ დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომ 1951 წლის 5-დან 19 აგვისტომდე მოეწყოს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მშვიდობის დაცვის მესამე მსოფლიო ფესტივალი და დასახა საჭირო ღონისძიებანი ფესტივალის მოსამზადებლად.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო ტექსტი პროტესტისა, რომელიც გაეგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, მარტინსვილელი ახალგაზრდა ზანგი პატრიოტების დასჯის წინააღმდეგ, აგრეთვე ტექსტი მტკიცე პროტესტისა საფრანგეთის მთავრობის ანტიდემოკრატიული მოქმედების წინააღმდეგ, რომელმაც საფრანგეთის ტერიტორიაზე აკრძალა სამი საერთაშორისო დემოკრატიული ორგანიზაციის საქმიანობა.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასკომის მიმართვა მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობისადმი

პრაღა, 10 თებერვალი. (საქდესი). დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასკომმა ამა წლის 5-დან 19 აგვისტომდე ბერლინში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მშვიდობის დაცვის მესამე საერთაშორისო ფესტივალის შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მიიღო მიმართვა მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობისადმი, რომელშიც ახალგაზრდობას მოუწოდებს მონაწილეობა მიიღოს ფესტივალში.

„ეს ფესტივალი, — ნათქვამია მიმართვაში, — უფრო განამტკიცებს ახალგაზრდობის ერთიანობას მშვიდობისათვის ბრძოლაში, გააფართოებს კულტურულ კავშირს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობას შორის.

ჩვენს მესამე საერთაშორისო ფესტივალს ვამზადებთ იმ დროს, როცა მშვიდობის მტრები გაძლიერებით ცდილობენ გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი. ომი უკვე მძვინვარებს კორეაში და აურაცხელ უბედურებას აყენებს კორეელ ხალხს. ახალი ომის საფრთხე უფრო მეტი ხდება დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის რემილიტარიზაციის გამო.

ადამიანთა სიცოცხლე და კაცობრიობის კულტურის მიღწევანი საფრთხეშია!

მაგრამ ომი გარდუვალი როდია. მსოფლიოს ხალხები საკმაოდ ძლიერნი არიან, რომ თავიდან აიშორონ ომი, ალაგმონ ისინი, ვისაც სურს დაამახინჯოს ცხოვრება, შეგვიბილწოს ოცნება, წაგვართვას მომავალი".

ტელეპრესის სააგენტო შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის ჯაშუშობის გაძლიერების შესახებ

პრაღა, 9 თებერვალი. (საქდესი). ტელეპრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი უოლტერ სმიტი ამჟამად იღებს ზომებს, რათა განახორციელოს რეორგანიზაცია ტოკიოს სადაზვერვო ცენტრისა, რომელიც ხელმძღვანელობს ამერიკის ჯაშუშობას ჩინეთსა და კორეაში. ამ ცნობების გადმოცემისას სახელმწიფო დეპარტამენტთან დაახლოებულმა წრეებმა აღნიშნეს, რომ ამერიკის მთავრობამ თავისი საგარეო პოლიტიკის შემუშავების დროს ამერიკის დაზვერვის მიერ შორეულ აღმოსავლეთში მდგომარეობის არასწორად შეფასების შედეგად დაუშვა მთელი რიგი სერიოზული შეცდომები.

სმიტის ამასწინანდელ გამგზავრებას ტოკიოში ზემოხსენებული წრეები უკავშირებენ შორეულ აღმოსავლეთში ამერიკის აგრესიისა და დივერსიული საქმიანობის გაფართოების გეგმებს.

დაწყებული რეორგანიზაციის შედეგად ტოკიოში ამერიკის სადაზვერვო ცენტრის პერსონალი წინანდელზე უფრო მეტად დაკომპლექტებული იქნება იაპონელი ჯაშუშებით, რომლებსაც მოეპოვებათ ჩინეთსა და კორეაში ძირგამომთხრელი საქმიანობის „გამოცდილება". ამერიკის სამსახურში აქტიურად მუშაობს აგრეთვე ბევრი გომინდანელი აგენტი.

ი. ა. მირცხულავა — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

1950 წლის 4 თებერვალს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე დოცენტმა ი. ა. მირცხულავამ დაიცვა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხზე თემაზე: „კონცენტრული ძლიერი ელექტროლიტების ხსნარების თეორია". [illegible] ხარისხი.

ამა წლის 13 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილება ამხ. ი. ა. მირცხულავასათვის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხისა და პროფესორის წოდების მინიჭების შესახებ.

საქართველოს XII საჭადრაკო ჩემპიონატი

მესამე ტურში საინტერესო იყო ბლაღიძე-შიშოვისა და სოროკინ-ბუსლაევის შეხვედრები.

შიშოვმა და ბლაღიძემ გაითამაშეს ესპანური პარტია. ბლაღიძემ მოიპოვა პოზიციური უპირატესობა, მაგრამ კრიზისულ მომენტში არაზუსტი სვლით საშუალება მისცა შიშოვს გაემარტივებინა პოზიცია და ყაიმისათვის მიეღწია.

სოროკინმა სიცილიურ პარტიაში შეძლო მხედრის გამაგრება ცენტრში. ბუსლაევი უჩვეულო პასიური თამაშით უფრო მძიმე მდგომარეობაში მოექცა და რამდენიმე სუსტი სვლის შემდეგ იძულებული გახდა დანებებულიყო.

გურგენიძემ წააგო პარტია კლიაცკინთან. კრეხელმა კარგად გაითამაშა პარტია ლოლუასთან და გამარჯვებას მიაღწია.

ყაიმით დამთავრდა ჩირაძე-ქარსელაძისა და წოწოლაშვილ-ინწკირველის პარტიები.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

11 თებერვალს შედგა გადადებული პარტიების გათამაშება. გაუთამაშებლად დასთმეს პარტიები გ. გამრეკელმა გიორგაძესთან, ლოლუამ ჩირაძესთან. წოწოლაშვილმა ადვილად მოუგო ლოლუას და ყაიმით დაამთავრა საინტერესო ენდშპილი ქარსელაძესთან. ინწკირველმა მოუგო აღამალიანს. აღამალიან — ი. გამრეკელის პარტია კვლავ გადაიდო.

სამი ტურის შემდეგ წინ არის სოროკინი, რომელსაც 2½ ქულა აქვს.

ახალი ნაწარმოებები საქართველოზე

სტალინირი. (საკ. კორ.). საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30 წლისთავისადმი სამხრეთ ოსეთის პოეტებმა დაწერეს საქართველოსადმი მიძღვნილი ახალი ლექსები და პოემები. პოეტმა რევაზ ასაევმა დასაბეჭდად მოამზადა ახალი ლექსების კრებული [illegible]

[illegible]

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1571 და 49.59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

14 თებერვალს

6.45—სოლოვიოვ-სედოის სიმღერები. 8.30 — ვანო გოკიელის სიმღერა ბელადზე. 17.15— ტაჯიკური, უზბეკური და ყაზახური ხალხური [illegible]

დღეს კინოებში

რუსთაველი, „ოქტომბერი" — „პეტერბურგის ღამე"; „ამირანი" — „კაშხალი" (საღამოს), „შორეული საცოლე" (დღისით); „თბილისი" — „კუბანელი კაზაკები"; „ხსარტაკი" — „მალაპაგის კედლებთან"; „კომკავშირელი"—„უმზითვო"; „ისანი" — „მზევრავის მამაცობა"; 26 [illegible]

დღეს თეატრებში

[illegible]

შვილები ხარიტონ, გიორგი, მანია, რძლები ნატაშა, პეპე, შვილიშვილები გურამ, მურმან და სოსო ბეხელიძეები იუწყებიან **მიხა ვატახ-ძე ბეხელიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-II, ს. ნოსირში (ცხაკაიის რ.).

ძმისწული და სარდიონ ჯანჯღავები იუწყებიან მამის **მიხა ვატახ-ძე ბეხელიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-II, ს. ნოსირში (ცხაკაიის რ.).

[illegible]